PDP 8 17 00003135

05/09/2017

წერილი სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორს, ბ-ნ ზაზა სოფრომაძეს

ბატონო ზაზა,

გაცნობებთ, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 21 მარტის №03/23 ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობს შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ (ს/კ 404907730) ქ. საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის მიერ პაციენტების პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების კანონიერების შემოწმება. შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი ცალკეული გარემოებების დაზუსტების მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილების მე-12 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, არაუგვიანეს 2017 წლის 12 სექტემბრისა, უზრუნველყოთ შემდეგი ინფორმაციის მოწოდება:

- შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ ქ. საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის მიერ როდიდან (თარიღის მითითებით) და რა ფორმით (ელექტრონულად ან/და მატერიალურად) მიეწოდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს პაციენტების შესახებ ინფორმაცია;
- შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ ქ. საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის მიერ პაციენტ(ებ)ის შესახებ რა სახის პერსონალური მონაცემების მიწოდება ხდება სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის, რა მიზნით და რომელი სამართლებრივი საფუძვლით;
- პაციენტების შესახებ მონაცემების ელექტრონულად მიღების შემთხვევაში, გთხოვთ გვაცნობოთ, რა გზით (რომელი ელექტრონული მოდულ(ებ)ით) ხდება მონაცემების მიღება და რომელი ანგარიშგების ფორმების მეშვეობით;
- უშუალოდ ვის მიერ ხდება პაციენტების შესახებ მონაცემების შემცველი ზემოხსენებული თითოეული მოდულის ადმინისტრირება და რა ორგანიზაციული და ტექნიკური ზომებია გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად;
- აღირიცხება თუ არა მონაცემთა მიმართ (მათ შორის შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ ქ. საგარეჯოს სამედიცინო ცენტრის უფლებამოსილი პირის მხრიდან) შესრულებული მოქმედებები (ე. წ. „ლოგები“) და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელი მოქმედებები, რა ფორმით და რა ვადით.

დამატებით გთხოვთ, მიგვითითოთ თქვენ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც შემოწმების ფარგლებში წარმოადგენს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან ურთიერთობაში და ექნება უფლებამოსილება გააკეთოს ახსნა-განმარტება, გაეცნოს და ხელი მოაწეროს შემოწმებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმ(ებ)ს.

პატივისცემით,

ნიკოლოზ ბრეგვაძე

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის
მოადგილე